



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მერაბიშვილი ივანე სერგოს ძე

მერაბიშვილი ივანე სერგოს ძე (დ. 15. IV. 1968, სოფ. უდე, ახლანდ. ადიგენის მუნიციპალიტეტი), საქართველოს პრემიერ-მინისტრი (ივლ.-ოქტ. 2012). დაამთავრა ახლანდ. სტუ-ის სამთო ფაკ-ტი (1992). 1992-95 მუშაობდა იქვე, იმავდროულად ახლანდ. აგრარულ უნ-ტში (ლაბორანტი, უფრ. ლაბორანტი, ასისტენტი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი). 1995 იყო მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, 1996 - თავისუფლების ინ-ტის თანადამფუძნებელი, 1999-2004 - საქართვე-მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (საარჩევნო ბლოკი საქართველოს მოქალაქეთა კავშირი), 2000-04 პარლამენტის ეკონ. პოლიტიკის კომიტეტის თავ-რე, 2002-04 საქართვე. პოლიტ. პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ გენ. მდივანი, 2004 - საქართვე. პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნ. უშიშროების საკითხებში (ეროვნ. უშიშროების საბჭოს მდივანი), 2004 - საქართვე. სახელმწ. უშიშროებისა და 2004-12 - საქართვე. შს მინისტრი. 2013 მ. დააპატიმრეს რამდენიმე ბრალდებით. გათავისუფლდა 2020.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის სახ. გამარჯვების ორდენით (2012).
